


დამტკიცებულია:

სს „თელასის“ აქციონერთა რიგგარეშე
საერთო კრების მიერ
არსკ-ს ოქმი 21 ი ვ ლ ი ს ი , 2021 წ.

კრების თავმჯდომარე


ცვლილებები სს „თელასის“ წესდებაში

1. სს „თელასის“ წესდების მე-3 მუხლის მე-3.2 პუნქტი ფორმულირებული იქნას შემდეგი რედაქციით:
„3.2 მოგების მისაღებად საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს საქმიანობის ნებისმიერი სახეობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით, მათ შორის:
 - ელექტროენერჯის განაწილება;
 - ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის ოპერირება;
 - ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის მუშაუნარიანობის (მოვლა-პატრონობა, განვითარება) უზრუნველყოფა;
 - საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობა, რომლებიც მიმართულია საზღვარგარეთ და საქართველოს ტერიტორიაზე აქტივების, მათ შორის, ელექტროენერჯეტიკის სფეროში ქართული კომპანიების აქციების (წილების) ან მათი მართვის უფლების შეძენაზე;
 - საქმიანობის სხვა სახეობები, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.წინამდებარე წესდების მე-3.2 პუნქტში მითითებული საქმიანობის სახეობები მიეკუთვნება საზოგადოების საქმიანობის ძირითად სახეობებს.“
2. მე-12 მუხლის მე-12.1 პუნქტის 32-ე ქვეპუნქტი ჩამოყალიბებული იქნას შემდეგი რედაქციით:
„32) რისკ-აპეტიტის სიდიდის, ასევე რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შესახებ ანგარიშების დამტკიცება;“.
3. მე-12 მუხლის მე-12.1 პუნქტის 35-ე ქვეპუნქტი ჩამოყალიბებული იქნას შემდეგი რედაქციით:
„35) ნებისმიერი გარიგების მოწონება, რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების ვალდებულებების წარმოქმნა იმ ოდენობით, რომელიც ტოლია ან აღემატება 8 400 000 (რვა მილიონი ოთხასი ათასი) ლარის ეკვივალენტურ

ფულად თანხას, შემდეგის გარდა:

- გარიგებები, რომელთა განხორციელება სავალდებულოა საზოგადოებისათვის საქართველოს სამართლებრივი აქტების შესაბამისად და (ან) ანგარიშსწორება რომელთა მიხედვითაც წარმოებს ფიქსირებული ფასებით და ტარიფებით, რომლებიც დადგენილია ფასების და ტარიფების სახელმწიფო რეგულირების სფეროში უფლებამოსილი ორგანოების მიერ (მათ შორის, ხელშეკრულებები ობიექტების მიერ ბუნებრივი წყლით წყალსარგებლობის შესახებ, ხელშეკრულება ელექტროენერგეტიკაში ოპერატიულ-სადისპეტჩერო მომსახურების გაწევის შესახებ);

- გარიგებები, რომლებიც ცვლის/ავსებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ადრე მოწონებულ გარიგებებს იმ პირობით, რომ ასეთი ცვლილებები/დამატებები არ იწვევს ადრე მოწონებული გარიგებების ღირებულების ზრდას და რომელთა საგანია:

= ხელშეკრულების ფასის შემადგენლობის დაზუსტება/ცვლილება (დეტალიზაცია);

= ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულებების შესრულების ვადების ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ არ იცვლება ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულებების დასრულების ვადა.

4. მე-12 მუხლის მე-12.1 პუნქტის 41-ე ქვეპუნქტი ჩამოყალიბებული იქნას შემდეგი რედაქციით:

„41) საზოგადოების სადაზღვევო დაცვის მიმართულებების განსაზღვრა, მათ შორის საზოგადოების სადაზღვევო დაცვის პროგრამის და მისი შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება“.

5. მე-12 მუხლს დაემატოს მე-12.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.6. იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება განხილული უნდა იქნას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთდროულად რამდენიმე საფუძვლის მიხედვით, რომელიც დადგენილია წინამდებარე წესდებით და რომელთა მიმართ გათვალისწინებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა თანაბარი რაოდენობა, გადაწყვეტილების მისაღებად ასეთი გარიგების მოწონება შესაძლებელია ნებისმიერ მითითებული საფუძვლის შესაბამისად“.

კრების თავმჯდომარე

ნინო ნიკიფორიძე

მთარგმნელი

თინათინ ნაყაჭვითია

